თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას

საჩივრის ავტორი: _____ (პ/ნ: _____)
მისამართი: თბილისი, _____
ტელეფონი: _____

მოწინააღმდეგე მხარე:
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
მისამართი: თბილისი, გულუას ქუჩა N10
ტელეფონი: (+995 32) 241 10 68

საჩივარი

(საჯარიმო ქვითარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის, შსს-ს დადგენილების ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტის თაობაზე)

მოგახსენებთ, რომ 2025 წლის __ თებერვალს ჩამაბარეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-4 სამმართველოს მიერ შედგენილი 2025 წლის __ თებერვლის საჯარიმო ქვითარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმი N ბბ _____ რომელშიც აღნიშნული იყო, რომ *„2025 წლის __ თებერვალს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქალაქე _____ კეტავდა საავტომობილო გზის ზოლს მაშინ, როდესაც არსებობდა შეკრება მანიფესტაციის ფარგლებში საფეხმავლო ბილიკზე პროტესტის გამოხატვის შესაძლებლობა.“*

გაცნობებთ, რომ არ დამირღვევია „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 11^1 მუხლის მოთხოვნები და არ მსგავსი სამართალდარღვევა არასდროს არ ჩამიდენია, პოლიციის მხრიდან არ ყოფილა მოწოდება გზის სავალი ნაწილის გახსნის ან შეკრების მონაწილეთა არასაკმარისი რაოდენობის შესახებ. გაცნობებთ იმასაც, რომ გადმომეცა მხოლოდ სამართალდარღვევის ოქმი, მაგრამ სამართალდარღვევის საქმის მასალები არ გადმომცემია.

საჯარიმო ქვითარი გავასაჩივრე შინაგან საქმეთა სამინისტროში, თუმცა ჩემი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მიმაჩნია, რომ საქართველოს გასაჩივრებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არაკანონიერია და აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ:

1. **ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-4 სამმართველოს მიერ შედგენილი 2025 წლის __ თებერვლის საჯარიმო ქვითარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმი N ბბ _____ და შეწყდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე წარმოება.**
2. **ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის __ თებერვლის N _____ დადგენილება.**

<u>მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:</u>

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 267-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის შემდეგ ორგანოს (თანამდებობის პირს) გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დადგენილება:

ა) ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ;

ბ) საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ;

გ) ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის თაობაზე, თუ შეუძლებელია პირველად დადებული ადმინისტრაციული სახდელის აღსრულება;
დ) საურავის დარიცხვის შესახებ.
ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი დადგენილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ მიიღება ზეპირი შენიშვნის გამოცხადების, საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში და მათ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან შრომითი კოლექტივის განსახილველად, ანდა პროკურორისათვის ან გამოძიების ორგანოსათვის მასალების გადაცემის დროს, აგრეთვე ამ კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებათა არსებობისას.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო. ამავე კოდექსის 278-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჩივრის ან პროტესტის განხილვისას ორგანოს (თანამდებობის პირს) გამოაქვს გადაწყვეტილება დადგენილების გაუქმებისა და საქმის შეწყვეტის შესახებ.
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.
საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების შემდეგ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გამოსცეს დასაბუთებული გადაწყვეტილება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, კი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.
აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ გაითვალისწინოთ საჩივარში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასაბუთება და დააკმაყოფილოთ საჩივარი.

<u>შუამდგომლობები:</u>

1. **გთხოვთ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 290-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების საფუძველზე გამოსცეთ გადაწყვეტილება, რომელშიც აისახება, რომ საჩივრის წარმოებაში მიღების შედეგად შეჩერდება გასაჩივრებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის მოქმედება და ჯარიმის გადახდის ვადის დინება.**

დასაბუთება:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დადგენილ ვადაში საჩივრის შეტანა მის განხილვამდე შეაჩერებს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის თაობაზე და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილებების, აგრეთვე ამ კოდექსის 234[1] მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, გარდა ამ კოდექსის 26-ე და 32-ე მუხლებით გათვალისწინებული სახდელების გამოყენების შესახებ დადგენილებებისა, ამ მუხლის 1[1] ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, აგრეთვე იმ შემთხვევისა, როდესაც პირს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე აკისრებენ ჯარიმას, რომელსაც ადგილზევე გადაახდევინებენ.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალდამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან, ადგილზე დაჯარიმების შემთხვევაში – საჯარიმო ქვითრის მისთვის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, ამ კოდექსის 242-ე მუხლის მე-4 და 4[5] ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საჯარიმო ქვითრის ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრისათვის რეგისტრაციის მისამართზე ან აღნიშნულ მისამართზე სრულწლოვანი პირისათვის ფოსტით ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, ხოლო ამ კოდექსის 208-ე და 208[2] მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე დაჯარიმებისას - დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის დინება შეჩერდება დადგენილების, აგრეთვე ამ კოდექსის 234[1] მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ან გაპროტესტების შემთხვევაში – საჩივრის ან პროტესტის განუხილველად დატოვების თაობაზე შეტყობინების ჩაბარებამდე, გარდა ამ მუხლის 1[5] ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. **გთხოვთ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-4 სამმართველოდან გამოითხოვოთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალები.**

დასაბუთება:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

საჩივარს თან ერთვის:

1. საჯარიმო ქვითარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმი ბბ 000204360 (1 ფურცლად)
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის __ თებერვლის N _____ დადგენილება (__ ფურცლად)
3. პირადობის მოწმობის ასლი (1 ფურცლად)

სულ: __ ფურცლად

პატივისცემით,

სახელი და გვარი /_____/

თარიღი: __/__/2025 წ. ხელმოწერა